საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-10/58

ქ. ბათუმი 27.04.2023 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23–ე და 24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 24 დეკემბრის N07-01/59 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ს ბიუჯეტის შედგენის წესის" მე-6 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტის, „ბსუ-ს 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 23 დეკემბრის №07-01/57 გადაწყვეტილების, ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის 2023 წლის 27 აპრილის №466092 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შევიდეს ცვლილება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 23 დეკემბრის N07-01/57 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში'', და ჩამოყალიბდეს წინამდებარე ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად.
2. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებ-გვერდზე.
3. ბრძანება დაეგზავნოს აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს, რექტორს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს, სტრუქტურულ ერთეულებს და საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მერაბ დიასამიძე

ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 27 აპრილის №01-10/58 ბრძანების
დანართი №1

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი

დამტკიცებულია ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 23 დეკემბრის N07-01/57 გადაწყვეტილებით
შესულია ცვლილება ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 18 იანვრის №01-10/05 ბრძანებით
შესულია ცვლილება ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 07 თებერვლის №01-10/11 ბრძანებით
შესულია ცვლილება ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 24 თებერვლის №01-10/22 ბრძანებით
შესულია ცვლილება ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 24 მარტის №01-10/45 ბრძანებით
შესულია ცვლილება ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 27 აპრილის №01-10/58 ბრძანებით

შემოსავლები წინა წლის ნაშთის გათვალისწინებით	33 742 879
ხარჯები	33 742 879

მათ შორის:

პროგრამის დასახელება	თანხა დაფინანსების წყაროს მიხედვით				სულ თანხა
ბსუ-ს ფაკულტეტების, კვლევითი ინსტიტუტებისა და პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის მხარდაჭერა	საკუთარი შემოსავლები	აჭარის არ რესპუბლიკური ბიუჯეტი	სახელმწიფო ბიუჯეტი	გრანტები	
ქვეპროგრამა - ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი	1 477 559	0	0	0	1 477 559
ქვეპროგრამა - საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი	3 934 890	20 000	0	0	3 954 890
ქვეპროგრამა - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი	3 006 325	0	0	0	3 006 325
ქვეპროგრამა - ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი	2 116 500	0	0	0	2 116 500
ქვეპროგრამა - იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი	1 392 001	0	0	0	1 392 001
ქვეპროგრამა - ტურიზმის ფაკულტეტი	812 020	90 000	0	0	902 020
ქვეპროგრამა - ტექნოლოგიური ფაკულტეტი	1 477 537	20 000	0	0	1 497 537
ქვეპროგრამა - ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული - ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტი	466 724	321 000	0	0	787 724
ქვეპროგრამა - ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული - აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტი	388 497	367 100	0	0	755 597
ქვეპროგრამა - ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული - ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი	244 986	401 220	0	0	646 206
ქვეპროგრამა - პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი	567 495	0	52 935	0	620 430
ქვეპროგრამა - შიდა საუნივერსიტეტო მიზნობრივი დაფინანსება	269 350	0	0	0	269 350
სულ	**16 153 884**	**1 219 320**	**52 935**	**0**	**17 426 139**

პროგრამის დასახელება	თანხა დაფინანსების წყაროს მიხედვით				სულ თანხა
უნივერსიტეტის მართვა და რეგულირება	საკუთარი შემოსავლები	აჭარის არ რესპუბლიკური ბიუჯეტი	სახელმწიფო ბიუჯეტი	გრანტები	
ქვეპროგრამა - უნივერსიტეტის საქმიანობის ადმინისტრაციული მხარდაჭერა	7 508 605	100 000	15 000	0	7 623 605
ქვეპროგრამა - ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მხარდაჭერა	539 150	0	0	2 600 895	3 140 045
სულ	**8 047 755**	**100 000**	**15 000**	**2 600 895**	**10 763 650**

პროგრამის დასახელება	თანხა დაფინანსების წყაროს მიხედვით				სულ თანხა
უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურული განვითარება	საკუთარი შემოსავლები	აჭარის არ რესპუბლიკური ბიუჯეტი	სახელმწიფო ბიუჯეტი	გრანტები	
ქვეპროგრამა - IT ტექნოლოგიების განვითარება	340 000	0	0	0	340 000
ქვეპროგრამა - მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და მიმდინარე/კაპიტალური სარემონტო სამუშაოების/მშენებლობების უზრუნველყოფა	2 325 250	2 084 040	0	0	4 409 290
სულ	**2 665 250**	**2 084 040**	**0**	**0**	**4 749 290**

პროგრამის დასახელება	თანხა დაფინანსების წყაროს მიხედვით				სულ თანხა
ბსუ-ს სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერა	საკუთარი შემოსავლები	აჭარის არ რესპუბლიკური ბიუჯეტი	სახელმწიფო ბიუჯეტი	გრანტები	
ქვეპროგრამა - საგანმანათლებლო და სამეცნიერო აქტივობების მხარდაჭერა	146 000	0	323 800	0	469 800
ქვეპროგრამა - კულტურული და სპორტული აქტივობების მხარდაჭერა	284 000	0	0	50 000	334 000
სულ	**430 000**	**0**	**323 800**	**50 000**	**803 800**

	საკუთარი შემოსავლები	აჭარის არ რესპუბლიკური ბიუჯეტი	სახელმწიფო ბიუჯეტი	გრანტები	სულ
სულ პროგრამების ჯამური ხარჯი	27 296 889	3 403 360	391 735	2 650 895	33 742 879

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის დასახელება - ბსუ-ს ფაკულტეტების, კვლევითი ინსტიტუტებისა და პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის მხარდაჭერა

პროგრამის მიზანი - არსებული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერა, ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ხელშეწყობა, სამეცნიერო კვლევების განხორციელების სტიმულირება, აკადემიური და მოწვეული პერსონალის კარიერული განვითარების მხარდაჭერა.

პროგრამის აღწერა - ბსუ-ს საგანმანათლებლო მიმართულება მოიცავს საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორი და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, რომელთა განსახორციელებლად საჭიროა შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სამეცნიერო, აკადემიური და მოწვეული პერსონალით უზრუნველყოფა, განვითარების შესაძლებლობების მხარდაჭერა, მუდმივი სრულყოფა. თუმცა, თანამედროვე გამოწვევების და კონკურენციის პირობებში საგანმანათლებლო დაწესებულება მუდმივად უნდა იყოს ორიენტირებული ახალი საგანმანათლებლო პროგრამების (განსაკუთრებით უცხოენოვანის) შემუშავებაზე. აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის თანახმად, მოთხოვნილია სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნება მაღალრეიტინგულ ჟურნალებში, რომელთა ფინანსური მხარდაჭერა მნიშვნელოვანია კარიერული განვითარების მიმართულებით. საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაციისკენ მისწრაფებაში მნიშვნელოვანია პერსონალის მონაწილეობა საერთაშორისო ფორუმებსა და კონფერენციებში.

პროგრამის განხორციელების პერიოდი		*01.01.2023-31.12.2023*				
ქვეპროგრამები:		თანხა დაფინანსების წყაროს მიხედვით				
		საკუთარი შემოსავლები	აჭარის არ რესპუბლიკური ბიუჯეტი	სახელმწიფო ბიუჯეტი	გრანტები	სულ
1	ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი	1 477 559	0	0	0	1 477 559
2	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი	3 934 890	20 000	0	0	3 954 890
3	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი	3 006 325	0	0	0	3 006 325
4	ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი	2 116 500	0	0	0	2 116 500
5	იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი	1 392 001	0	0	0	1 392 001
6	ტურიზმის ფაკულტეტი	812 020	90 000	0	0	902 020
7	ტექნოლოგიური ფაკულტეტი	1 477 537	20 000	0	0	1 497 537
8	ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული - ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტი	466 724	321 000	0	0	787 724

9	ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული - აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტი	388 497	367 100	0	0	755 597
10	ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული - ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი	244 986	401 220	0	0	646 206
11	პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი	567 495	0	52 935	0	620 430
12	შიდა საუნივერსიტეტო მიზნობრივი დაფინანსება	269 350	0	0	0	269 350
	სულ	16 153 884	1 219 320	52 935	0	17 426 139

პროგრამის განხორციელების მოსალოდნელი შედეგი	√ თანამედროვე სტანდარტების, მაღალი აკადემიური ხარისხის და დასაქმებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება; √ კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება; √ ღირებული, ფუნდამენტური და პრაქტიკული მნიშვნელობის კვლევების განხორციელება; √ სწავლის, სწავლებისა და კვლევითი პროცესების ინტერნაციონალიზაცია; √ უნივერსიტეტის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მონაწილეობა აქტუალურ პრობლემატიკაზე გამართულ საერთაშორისო ფორუმებში; √ უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნისა და განხორციელების სტიმულირება; √ დანახარჯების ეფექტიანობის გაზრდა და ხარჯვითი პროცესის გამჭვირვალეობა; √ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; √ ავტორიზაცია/აკრედიტაციის სტანდარტების დაცვა.

პროგრამის დასახელება - უნივერსიტეტის მართვა და რეგულირება

პროგრამის მიზანი - ბსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული უმაღლესი საგანმანათლებლო და პროფესიული პროგრამების, ფუნდამენტალური და გამოყენებითი კვლევების განხორციელების მხარდაჭერის მიზნით მართვისა და რეგულირების ღონისძიებების განხორციელება, საერთო საუნივერსიტეტო საჭიროებების ფარგლებში ადმინისტრაციული დანიშნულების სერვისების უზრუნველყოფა, ხარისხის უზრუნველყოფის და განვითარების მხარდაჭერა

პროგრამის აღწერა - ბსუ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიან გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და უნივერსიტეტში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

პროგრამის განხორციელების პერიოდი		*01.01.2023-31.12.2023*				
ქვეპროგრამები:		თანხა დაფინანსების წყაროს მიხედვით				
		საკუთარი შემოსავლები	აჭარის არ რესპუბლიკური ბიუჯეტი	სახელმწიფო ბიუჯეტი	გრანტები	სულ
1	უნივერსიტეტის საქმიანობის ადმინისტრაციული მხარდაჭერა	7 508 605	100 000	15 000	0	7 623 605
2	ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მხარდაჭერა	539 150	0	0	2 600 895	3 140 045
	სულ	8 047 755	100 000	15 000	2 600 895	10 763 650

პროგრამის განხორციელების მოსალოდნელი შედეგი:	√ ორგანიზებული და ეფექტიანი ადმინისტრაციული მართვის პროცესები; √ ხარისხის მუდმივი განვითარების მექანიზმების შექმნა; √ ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის განვითარების ხელშეწყობა; √ საგანმანათლებლო პროგრამების მუდმივი განახლებისა და განვითარების ხელშეწყობა; √ ავტორიზაციისა და პროგრამული აკრედიტაციის წარმატებით გავლა.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის დასახელება - უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურული განვითარება

პროგრამის მიზანი - უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ ტექნიკური აღჭურვილობის გაუმჯობესება.

პროგრამის აღწერა - ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-10 მუხლის თანახმად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსის სტანდარტი დაკმაყოფილებულია, თუ დაწესებულებას საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო და კვლევით პროგრამებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამის ფაგლებში უნივერსიტეტი გააუმჯობესებს მატერიალურ ტექნიკურ აღჭურვილობას (მაგ. შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია, ტექნიკური აღჭურვა და სხვ.) და ინფრასტრუქტურას.

პროგრამის განხორციელების პერიოდი		*01.01.2023-31.12.2023*				
ქვეპროგრამები:		თანხა დაფინანსების წყაროს მიხედვით				
		საკუთარი შემოსავლები	აჭარის არ რესპუბლიკური ბიუჯეტი	სახელმწიფო ბიუჯეტი	გრანტები	სულ
1	IT ტექნოლოგიების განვითარება	340 000	0	0	0	340 000
2	მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და მიმდინარე/კაპიტალური სარემონტო სამუშაოების/მშენებლობების უზრუნველყოფა	2 325 250	2 084 040	0	0	4 409 290
	სულ	2 665 250	2 084 040	0	0	4 749 290

პროგრამის განხორციელების მოსალოდნელი შედეგი

√ ინფრასტრუქტურის განვითარება სწავლის, სწავლების, კვლევისა და სტუდენტური ცხოვრების მოთხოვნების შესაბამისად;
√ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება;
√ IT ტექნოლოგიების შესაბამისობა თანამედროვე სტანდარტებთან.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის დასახელება - ბსუ-ს სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერა

პროგრამის მიზანი - სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნა, სტუდენტთა უფლებების დაცვა, სტუდენტებისთვის შესაბამისი სერვისების შეთავაზება, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმების უზრუნველყოფა, სტუდენტთა მხარდამჭერი მრავალფეროვანი ღონისძიებების განხორციელება და მასში სტუდენტების ჩართვა.

პროგრამის აღწერა - ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სტუდენტური საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროექტები, სამეცნიერო კონფერენციები, სტუდენტთა საერთაშორისო პრაქტიკა უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებსა და მოწინავე კომპანიებში, ასევე, კულტურულ-შემოქმედებითი და სპორტული აქტივობები.

პროგრამის განხორციელების პერიოდი		*01.01.2023-31.12.2023*				
ქვეპროგრამები:		თანხა დაფინანსების წყაროს მიხედვით				
		საკუთარი შემოსავლები	აჭარის არ რესპუბლიკური ბიუჯეტი	სახელმწიფო ბიუჯეტი	გრანტები	სულ
1	საგანმანათლებლო და სამეცნიერო აქტივობების მხარდაჭერა	146 000	0	323 800	0	469 800
2	კულტურული და სპორტული აქტივობების მხარდაჭერა	284 000	0	0	50 000	334 000
სულ		430 000	0	323 800	50 000	803 800

პროგრამის განხორციელების მოსალოდნელი შედეგი

√ ახალგაზრდების მხარდაჭერა, რათა მათ წვლილი შეიტანონ საზოგადოების განვითარებაში;
√ ახალგაზრდა მეცნიერთა მოზიდვა და მხარდაჭერა სხვადასხვა პროექტის განხორციელების გზით;
√ უნივერსიტეტის ფარგლებში მოქმედი შემოქმედებითი და სპორტული გუნდების წარმოჩენა;
√ სტუდენტთა ჩართვა გაცვლით პროგრამებში;
√ სტუდენტური ინიციატივებისა და პროექტების დაფინანსება.